პირველი მატჩის შთაბეჭდილებები

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 8 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ “ადმირალტეეცი” (ლენინგრადი) 1:0 (0:0).

“ადმირალტეეცი”: შეხტელი, მიტროფანოვი, სპირიდონოვი, დემიდოვი, ი. მოროზოვი, ტიხომიროვი, ცარიცინი, ო. მოროზოვი, ვინოგრადოვი, ვარლამოვი, ვასილიევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე (ხურცილავა), ხოჭოლავა, ხუნდაძე, გ. სიჭინავა, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი: ს. ალიმოვი (მოსკოვი).

მაყურებლებით სავსე ტრიბუნები ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ სსრ კავშირის 1961 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი მატჩის მონაწილე გუნდებს _ ლენინგრადის “ადმირალტეეცსა” და თბილისის “დინამოს”.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. სიხარულიძე მიესალმა ფეხბურთელებს და უსურვა მათ წარმატებები წინამდებარე სეზონში. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმაზე კაპიტნებმა ა. ვასილიევმა და შ. იამანიძემ აღმართეს XXIII საკავშირო ჩემპიონატის ალამი.

გათამაშება დაიწყო.

პირველი მატჩი. მას ყოველთვის დიდი ინტერესით მოელიან ხოლმე ფეხბურთის მოყვარულნი, მაგრამ იშვიათად, რომ სეზონის პირველმა კალენდარულმა შეხვედრამ დააკმაყოფილოს მაყურებელთა ესთეტიკური მოთხოვნები, რომ მისი სანახაობითი მხარე სათანადო სიმაღლეზე იდგეს.

ეს გასაგებიცაა. ფეხბურთელები ჯერ არ არიან შესული ფორმაში, სეზონის დასაწყისში მათი წმინდა ტექნიკური ურთიერთობა ბურთთან ჯერ კიდევ არაა დახვეწილი, მოისუსტებს ფიზიკური მომზადება, ტაქტიკური მთლიანობა, ყოველ ახალ სეზონში გუნდებს გამოჰყავთ ახალი მოთამაშეები, რომლებიც ასე ჩქარა ვერ ეგუებიან კოლექტივის სტილს, ყოველთვის ვერ ამყარებენ კონტაქტს პარტნიორებთან.

8 აპრილის მატჩი თბილისისა და ლენინგრადის გუნდებს შორის ტიპიური ასეთი შეხვედრა იყო და ამიტომ მაყურებელი გარკვეულ კომპრომისზე უნდა წავიდეს, როცა კრიტიკულად აფასებს “ა” კლასის ფეხბურთელთა თამაშს. გუნდების ნამდვილი სახე ჯერ არაა გამოკვეთილი და დასრულებული.

მიუხედავად ამისა, სასაყვედურო გუშინ ბევრი რამ ჰქონდა როგორც “ადმირალტეეცს”, ისე “დინამოს”.

“ადმირალტეეცი” ეკუთვნის იმ გუნდების კატეგორიას, რომელთა ტექნიკური და ტაქტიკური ჩამორჩენის კომპენსაცია ხდება უდიდესი შრომისუნარიანობით, ენერგიითა და შეუნელებელი ბრძოლით. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ ძნელ საქმეს წარმოადგენს. სწორედ ამ სტილში თამაშობდნენ გუშინ ლენინგრადელები, მაგრამ, ეტყობა, მათ ზედმეტი დატვირთვა აიღეს თავიანთ თავზე პირველ ტაიმში და მეტისმეტად ბევრი ენერგია შეალიეს მატჩის დასაწყისს. შესვენების შემდეგ ისინი გაცილებით ნაკლებს მოძრაობდნენ, ვეღარ ასწრებდნენ ურთიერთდაზღვევას, ჩამორჩებოდნენ საერთო ტემპს. თუ პირველ ტაიმში მათ მესხის წინააღმდეგ საბრძოლველად ყოველთვის ჰყავდათ თავისუფალი მოთამაშე მიტროფანოვის (#2) გარდა, მეორე ტაიმში მარჯვენა მცველი მარტო შერჩა მესხს და “დინამოს” მარცხენა გარემარბის თამაშიც გაცილებით ნაყოფიერი გახდა.

დინამოელთა ტაქტიკაში შესამჩნევი იყო ერთ-ერთი ნახევარმცველის უკან დაწევა ღრმა დაცვაში. ამ ფუნქციას მორიგეობით ასრულებდნენ ხან ხუნდაძე და ან სიჭინავა, მაგრამ, ჩვენის აზრით, ნახევარმცველთა ასეთი განლაგება ზოგჯერ შაბლონის ხასიათს ატარებდა და არ იყო ლოგიკურად გამართლებული, ვინაიდან “ადმირალტეეცი” თავდასხმაში ტოვებდა 2-3 ფორვარდს, ხოლო ჩვენს გუნდს შუა მინდორზე აკლდა მოთამაშე, რომელიც დაეხმარებოდა პარტნიორებს რგოლებს შორის საერთო ურთიერთმოქმედების დამყარებაში.

თბილისელები ხშირად აჩერებდნენ და ზედმეტად ატარებდნენ ბურთს, უკანასკნელ მომენტამდე არ აწოდებდნენ მას თავისუფალ პოზიციაში დარჩენილ თავდამსხმელებს და გადაცემისას ვერ იცავდნენ ელემენტარულ სიზუსტესაც კი.

პირველი ურთიერთ მოსინჯვა, სადაზვერვო ოპერაციები კარგა ხანს გაგრძელდა. მართალია, დასაწყისში კალოევმა ორჯერ ზედიზედ მოუგო “საჰაერო ბრძოლა” სპირიდონოვს, რის შედეგადაც ლენინგრადელთა კარი აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ საბოლოო შეტევები არაზუსტი

დარტყმებით დამთავრდა. მე-19 წუთზე ბარქაიამ საჯარიმო დარტყმიდან კარგად გაიყვანა კართან კალოევი და მეკარე შეხტელმა შესანიშნავი ნახტომით მოიგერია უძლიერესად დარტყმული ბურთი.

ტაიმის დასასრულს ლენინგრადელებმა მთელი თავიანთი მაქსიმუმი ჩართეს თამაშში და ტერიტორიულ უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ მათი ტექნიკა, აგრეთვე კარის წინ შექმნილ ვითარებაში მოქმედების უნარი გაცილებით ჩამორჩებოდა მათივე შრომისუნარიანობასა და ენთუზიაზმს, ამიტომ გუნდის ფორვარდები ყოველი შეტევის შემდეგ "ხელცარიელნი" ბრუნდებოდნენ.

მეორე ტაიმი დაიწყო თბილისელთა მიერ საუკეთესოდ გათამაშებული კომბინაციით. ეს იყო განვლილი მატჩის ყველაზე უფრო საინტერესო და ეფექტური ეპიზოდი, რომელიც გოლითაც დამთავრდა. მესხი გაიჭრა მარცხენა ფრთაზე და სწრაფად გადაიყვანა ბურთი შორეულ ფლანგზე. აქ კომბინაცია გაგრძელდა მელაშვილსა და ბარქაიას შორის, საიდანაც ბურთი კვლავ მესხს გაეგზავნა მარცხნივ. მესხის დარტყმა მოხვდა ზედა ძელს, მაგრამ დაბრუნებულ ბურთს მიუსწრო კალოევმა და კარში გაგზავნა იგი _ 1:0.

ეს იყო დინამოელთა პირველი წარმატება და უკანასკნელიც. მაგრამ მან სასურველი 2 ქულა მოუტანა გუნდს.

განვლილმა მატჩმა ჩვენი გუნდის მოთამაშეთა მთელი რიგი ნაკლოვანებანი გამოამჟღავნა, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაფერი ეს პირველი თამაშის სპეციფიკას მიეწერება. გათამაშება წინაა და თბილისის "დინამო" სულ მალე ჩადგება მისთვის ჩვეულ ფორმაში.

გ. ანთაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი; ბ. ქორქია.
"ლელო", 9 აპრილი, 1961 წ.